საქართველოს მთავრობის შემადგენლობა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი - გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი - ალექსანდრე ჯეჯელავა

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი - გიგლა აგულაშვილი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი - გიორგი გახარია

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი - კახა კალაძე

საქართველოს თავდაცვის მინისტრი - ლევან იზორია

საქართველოს იუსტიციის მინისტრი - თეა წულუკიანი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი - მიხეილ გიორგაძე

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი - სოზარ სუბარი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი - მიხეილ ჯანელიძე

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი - გიორგი მღებრიშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი - ლევან დავითაშვილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრი - დიმიტრი ქუმსიშვილი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი - დავით სერგეენკო

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი - კახა კახიშვილი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი - ზურაბ ალავიძე

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი - ტარიელ ხეჩიკაშვილი

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში - ვიქტორ დოლიძე

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში - ქეთევან ციხელაშვილი

ცნობა

გიორგი კვირიკაშვილი დაიბადა 1967 წლის 20 ივლისს.

1984 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა.

1991 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი.

1995 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (სპეციალობა - მრეწველობის დაგეგმვა).

1986–1988 წლებში მსახურობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

1997–1998 წლებში სწავლობდა ამერიკის შეერთებული შტატების ილინოისის უნივერსიტეტში (University of Illinois at Champaign-Urbana, IL, USA) და მიენიჭა მაგისტრის ხარისხი.

1993-1996 წლებში მუშაობდა „გაერთიანებულ ქართულ ბანკში“ (საწყისი პოზიცია – აკრედიტივების ოფიცერი, საბოლოო პოზიცია – საკრედიტო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე).

1996–1997 წლებში იყო „ექსპორტ–იმპორტ ბანკის“ ვიცე-პრეზიდენტი.

1998–1999 წლებში იყო „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ფილიალების მართვის დეპარტამენტის დირექტორი.

1999 წელს მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში ფისკალური, ფულად-საკრედიტო და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამსახურის უფროსის მოადგილედ, საქართველოს მთავრობისა და USAID-ის ერთობლივი პროგრამის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელად.

1999–2004 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, კომიტეტის წევრი.

2004–2006 წლებში მუშაობდა „პირველ კომერციულ ბანკში".

2006–2011 წლებში იყო ბანკი „ქართუს" გენერალური დირექტორი.

2012 წელს მუშაობდა ლენზი-ფიშერ-ჰენდრის (Lenzie Fisher Hendry LLC – Economic Development Consulting) ეკონომიკური განვითარების საკონსულტაციო კომპანიაში;

USAID-ის საპენსიო რეფორმა სომხეთის რესპუბლიკაში, ფინანსური ინსტიტუტების კომპონენტი;

მსოფლიო ბანკის პროექტი მალდივების რესპუბლიკაში – დახურული კორპორაციული ობლიგაციების ბაზარი.

2012 წლის 25 ოქტომბრიდან 2015 წლის პირველ სექტემბრამდე იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.

2013 წლის 26 ივლისს დაეკისრა საქართველოს ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება.

2015 წლის პირველი სექტემბრიდან 2015 წლის 30 დეკემბრამდე იყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

2015 წლის 30 დეკემბერს დაინიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრად.

ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ცნობა

ალექსანდრე ჯეჯელავა დაიბადა 1973 წლის 24 მაისს.

1990 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა კომაროვის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა, ფიზიკის, მათემატიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის ადგილობრივ ოლიმპიადებში მრავალი გამარჯვებით.

1995 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიენიჭა მაგისტრის ხარისხი გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით; 2005 წელს მართვის ევროპული უმაღლესი სკოლა (ESM), მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი ზოგად მენეჯმენტში; 2010 წელს ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროექტების მართვის კოლეჯი, 2012 წელს ცენტრალური აზიის ლიდერობის აკადემია ლიდერობის მიმართულებით, 2015 წელს ერიკსონის კოლეჯში გავლილი აქვს ტრანსფორმაციული ქოუჩინგის სასერტიფიკატო კურსი.

1991-1993 წლებში მუშაობდა წამყვან პროგრამისტად ვანექსი/კომპი-ში, 1993 წლიდან 2001 წლამდე საქართველოს ეროვნულ ბანკში იკავებდა IT უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის პოზიციას.

2000-2001 წლებში იყო IT კონსულტანტი კორპორაცია SETA-ში სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის რეგიონული ქსელის შემუშავებისა და განვითარების პროექტის, ასევე ამავე კორპორაციის სომხეთის სახელმწიფო რეესტრის ავტომატიზაციის პროექტის ფარგლებში.

2000-2002 წლებში ინტელექტბანკში ხელმძღვანელობდა IT დეპარტამენტს, ბიზნესის განვითარებას.

2010-2011 წლებში საქართველოს ლატარიის კომპანიაში ასრულებდა IT სტრატეგიის კონსულტანტის ფუნქციას.

2002-2007 წლებში იყი იუჯითიში (UGT) გენერალური დირექტორის მოადგილე, ინფორმატიკის მწვრთნელი, ტექნიკური ხელმძღვანელი და კორპორაციული გადაწყვეტილებების დირექტორი.

2007-2011 წლებში იყო თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე, დირექტორთა საბჭოს წევრი, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ადამიანური რესურსების მართვის მიმართულების კურატორი, დირექტორი - საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების დარგში, ამავე ბანკში მუშაობდა მართვის რეფორმაზე.

2009-2011 წლებში იყო ვლადიმერ კომაროვის ფიზიკა-მატემატიკის სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, 2007-2014 წლებში - გაერთიანებული საფინანსო კორპორაციის (UFC) სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

2010-2012 წლებში, ჰოლანდიის მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტის ტრენინგკონსულტანტი, როგორც საქართველოს, ისე მოზამბიკის პოლიტიკური პარტიების სტრატეგიული მენეჯმენტის მიმართულებით.

2013-2014 წლებში მუშაობდა მედია ბიზნესგანვითარების კონსულტანტად ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოში“. 2006-2007 წლებში ატარებდა ტრენინგებს პროექტების მართვაში „აიტი ნოლიჯში“.

კორპორაცია „მონტრანთან“ თანამშრომლობით ყირგიზეთის რესპუბლიკის ცენტრალურ ბანკში მართავდა RTGS სისტემის დანერგვის პროექტს, აღნიშნული პროექტი განახორციელა საქართველოს ეროვნულ ბანკში 2009 წელს. 2007-2008 წლებში მენეჯმენტი გაუწია თიბისი ბანკში მთავარი საბანკო სისტემის დანერგვას და განხორციელების პროექტს.

2016 წელს კითხულობდა ლექციებს საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის მაგისტრატურაში, სტრატეგიული მართვის მიმართულებით; 2007-2009 წლებში საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში - სამაგისტრო პროგრამაზე; 2006-2010 წლებში თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში - MBA პროგრამაზე, მართვის საინფორმაციო სისტემებისა და პროექტების მართვის მიმართულებით; 2009-2015 წლებში კავკასიის უნივერსიტეტში, კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო პროგრამაზე; 2010-2012 წლებში ამავე უნივერსიტეტის ტექნოლოგიების სკოლაში, IT პროექტების მართვის მიმართულებით. 2015 წლის აპრილში იყო სპიკერი (TEDx თბილისი).

2010 წელს პარტნიორებთან ერთად დააფუძნა მართვის აკადემია და 2016 წლის მაისამდე ყველა მიმართულებით ხელმძღვანელობდა აკადემიის საქმიანობას, იყო აკადემიის თავმჯდომარე, წამყვანი ტრენერი, უძღვება ტრენინგებს მართვის თანამედროვე მეთოდების (ზოგადი მენეჯმენტი), კომპლექსური გაყიდვების, ეფექტური მენეჯმენტის, IT მენეჯმენტის, პროექტების მართვისა და მოლაპარაკებების მიმართულებით.

2016 წლის ივნისში დაინიშნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრად.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ცნობა

გიგლა აგულაშვილი დაიბადა 1964 წლის 25 მაისს.

1990 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.

1990-1994 წლებში იყო საგარეჯოს რაიონის პროკურატურის გამომძიებელი.

1994-1997 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, ხოლო 1997 წლიდან 1999 წლამდე საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატის უფროსის მოადგილე.

1999-2001 წლებში იყო კახეთის საოლქო პროკურორი.

2001 წლიდან 2002 წლამდე იყო ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურორი.

2002-2003 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის უფროსი.

2003-2004 წლებში - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი, შემდეგ ცეცხლსასროლი იარაღის ლიცენზირებისა და ფონდების რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსი.

2005-2012 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკური პარტიის აღმასრულებელი მდივანი.

1997 წლის 17 თებერვალს დაჯილდოვდა ღირსების მედლით საქართველოში კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცებაში შეტანილი დიდი წვლილისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის.

სხვადასხვა წლებში მინიჭებული აქვს სპეციალური წოდებები: მესამე კლასის იურისტი (05.11.1991წ.), მეორე კლასის იურისტი (07.04.1994 წ.), პირველი კლასის იურისტი (ვადამდე-20.10.1995წ.), იუსტიციის უმცროსი მრჩეველი (ვადამდე - 02.12.1998წ.) და იუსტიციის მრჩეველი (ვადამდე-29.05.1999წ.).

2012 წლიდან 2015 წლამდე იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელების“ წევრი, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე.

2015 წლის პირველ მაისს დაინიშნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრად.

ფლობს რუსულ ენას.

ცნობა

გიორგი გახარია დაიბადა 1975 წლის 19 მარტს.

1994 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, 2000 წელს მიხეილ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ფაკულტეტი და მიენიჭა მაგისტრის ხარისხი პოლიტოლოგიაში, 2004 წელს ამავე უნივერსიტეტის უმაღლესი ბიზნესის სკოლა და მიენიჭა ბიზნესის მართვის მაგისტრის ხარისხი.

1997 წლის სექტემბრიდან 2004 წლის ნოემბრამდე იყო A-Edam-ის გენერალური დირექტორი;

1999 წელს დამფუძნებლობა „ეფექტური პოლიტიკის“ ანალიტიკოსი;

2004-2008 წლებში SFK Group-ის გენერალური დირექტორი;

2006 წლის სექტემბრიდან 2009 წლის მაისამდე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ბიოტექნოლოგიის მოწვეული ლექტორი;

2008 წლის ნოემბრიდან 2013 წლის თებერვლამდე იყო ბიზნესის განვითარების დირექტორი რუსეთის ფედერაციასა და აღმოსავლეთ ევროპაში;

2013 წლის 6 მარტს დაინიშნა საგადასახადო ომბუდსმენად, 2014 წლის 6 დეკემბერს საგადასახადო ომბუდსმენად - საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწედ ეკონომიკურ საკითხებში - ეკონომიკური საბჭოს მდივნად; 2015 წლის 5 ივნისს საქართველოს ბიზნესომბუდსმენად - საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწედ ეკონომიკურ საკითხებში - ეკონომიკური საბჭოს მდივნად;

2016 წლის 18 ივლისიდან 2016 წლის 8 სექტემბრამდე იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ეკონომიკურ საკითხებში - ეკონომიკური საბჭოს მდივანი.

ცნობა

კახა კალაძე დაიბადა 1978 წლის 27 თებერვალს.

2000 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.

2001, 2002, 2003, 2006 წლებში იყო საქართველოს წლის საუკეთესო ფეხბურთელი, მინიჭებული აქვს ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი.

2007 წლიდან იყო საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფის - „კალა კაპიტალის“ დამფუძნებელი და ბენეფიციარი მესაკუთრე.

2008 წლიდან - სს „პროგრეს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და საქველმოქმედო ფონდის „კალა ფონდის“ დამფუძნებელი.

1993-2012 წლებში იყო პროფესიული საფეხბურთო კლუბების (დინამო თბილისი, დინამო კიევი, მილანი, ჯენოა) ფეხბურთელი.

2012 წლის პირველ ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად.

2012 წლის 25 ოქტომბერს დაინიშნა საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრად, ხოლო 2013 წლის 4 მაისიდან საქართველოს ენერგეტიკის მინისტრად.

2012 წლის 25 ოქტომბერს დაეკისრა საქართველოს ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება.

2016 წლის 8 სექტემბერს გათავისუფლდა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის თანამდებობიდან.

ფლობს რუსულ, იტალიურ და ინგლისურ ენებს.

ცნობა

ლევან იზორია დაიბადა 1974 წლის 5 თებერვალს ჩხოროწყუს რაიონში.

1996 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობა, 1999 წელს წარჩინებით დაამთავრა გერმანიის ქ. გოტინგენის აუგუსტის სახელობის უნივერსიტეტის მაგისტრატურა, არის სამართლის დოქტორი;

1995-1998 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის ლაბორანტი, მასწავლებელი;

1998-1999 წლებში სწავლობდა გერმანიის ქ. გოტინგენის აუგუსტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურაზე;

1999-2002 წლებში იყო ქ. გოტინგენის სახელმწიფოს ზოგადი მოძღვრებისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორის თანაშემწე;

2002-2003 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის დოცენტი;

2002-2003 წლებში უშიშროების საბჭოსთან არსებული უშიშროებისა და სამართალდამცავი სისტემის ორგანოების რეფორმის კომისიის კოორდინატორი;

2003 წელს დაინიშნა გერმანიის კონრად ადენაუერის სახელობის პოლიტიკური ფონდის რეგიონულ წარმომადგენლად სამხრეთ კავკასიაში;

2004-2006 წლებში იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორი;

2006-2007 წლებში იყო საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

2007-2009 წლებში შპაიერის გერმანული საჯარო ადმინისტრაციის კვლევის ინსტიტუტში მეცნიერ-მკვლევარი;

2009 წელს მიენიჭა კავკასიის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორის წოდება; იმავე წელს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის წოდება;

არის ოთხი წიგნის ავტორი, ოთხი წიგნის თანაავტორი და რამდენიმე სტატიის ავტორი.

2012 წლის 30 ოქტომბრიდან 2015 წლის 3 აგვისტომდე იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;

2015 წლის 3 აგვისტოდან 2016 წლის 1 აგვისტომდე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე.

2016 წლის 1 აგვისტოს დაინიშნა საქართველოს თავდაცვის მინისტრად.

ცნობა

თეა წულუკიანი დაიბადა 1975 წლის 21 იანვარს, ქ. თბილისში.

1992 წელს დაამთავრა ლიონის (საფრანგეთი) ამპერის სახელობის ლიცეუმი.

1997 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი.

1998 წელს დაამთავრა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული დიპლომატიის აკადემია.

1997-1998 წლებში მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრში.

1998 წელს წარმატებით ჩააბარა საკონკურსო გამოცდა საფრანგეთის სახელმწიფო მართვის სკოლაში (ENA), რომელიც ექვემდებარებოდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრსა და პრეფექტებს. სწავლის პერიოდში მუშაობდა სარტის დეპარტამენტის (დასავლეთ საფრანგეთი) პრეფექტის კაბინეტში ქალაქის რთულ უბნებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა საქმიანობის კოორდინაციის საკითხებზე.

2000 წელს დაამთავრა სახელმწიფო მართვის სკოლა და მიენიჭა მაგისტრის ხარისხი საჯარო ადმინისტრაციაში(MPA).

2000 წლის სექტემბერში ევროსაბჭოს მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგად გახდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შტატიანი თანამშრომელი (იურისტი).

2005 წელს მიენიჭა უფროსი იურისტის საკლასო ჩინი.

2006 წლიდან იყო სასამართლოს რეგლამენტის კომიტეტის წევრი.

2009 წლიდან იყო მომხსენებელი ერთი მოსამართლის მიერ განსახილველ საქმეებზე. 2010 წლის თებერვალს გადადგა დაკავებული თანამდებობიდან და დაბრუნდა საქართველოში.

2010 წლის 15 მაისს შეუერთდა თავისუფალ დემოკრატებს, როგორც პარტიის თავმჯდომარის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში.

2012 წლის პირველ ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად.

2012 წლის 25 ოქტომბერს დაინიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრად.

ცნობა

მიხეილ გიორგაძე დაიბადა 1967 წლის 25 აპრილს, ქ. თბილისში.

1984-1991 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე.

1991 წელს გაიარა ევროპული მენეჯმენტის პროგრამა ქ. ბრიუსელში.

1992-1993 წლებში იყო საქართველოს მინისტრთა კაბინეტის ეკონომიკის დეპარტამენტის სახელმწიფო მრჩეველი.

1993-1994 წლებში მუშაობდა საგარეო ეკონომიკური საკითხების კომიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების დეპარტამენტის უფროსად.

1994-1997 წლებში მუშაობა განაგრძო არასამთავრობო ორგანიზაციაში - „მსოფლიო ლაბორატორია“ პროექტების მენეჯერად.

2001 წელს მუშაობდა ლონდონში ბი-ფი-არ პროდაქშენს პროგრამის „ხელოვნების მენეჯმენტის“ კონსულტანტად.

2003-2005 წლებში იყო საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური პროდიუსერი.

1998 წლიდან არის „ისთერნ პრომოუშენის“ გენერალური მენეჯერი.

2005 წლიდან 2014 წლამდე იყო თბილისის საკონცერტო დარბაზის დირექტორთა საბჭოს წევრი.

2014 წლის 23 ივლისს დაინიშნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრად.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ცნობა

სოზარ სუბარი დაიბადა 1964 წლის 4 ნოემბერს, მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერში.

1995 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო აკადემიის თეოლოგიის ფაკულტეტი.

1981-1988 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში.

1989 წლიდან 1995 წლამდე მსახურობდა დავით გარეჯის მონასტერში, დმანისის სიონისა და ივერიის ღვთისმშობლის ტაძრებში მედავითნედ.

1993 წელს მონაწილეობდა აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის დროს მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში.

1995-2000 წლებში იყო გაზეთ „კავკასიონის" კორესპონდენტი, შემდგომში რედაქტორი, 1996-2003 წლებში იყო რადიო „თავისუფალი ევროპის" კორესპონდენტი.

1998-2001 წლებში იყო ლონდონის ომისა და მშვიდობის რეპორტაჟების ინსტიტუტის კორესპონდენტი.

2002 წელს დააფუძნა კავკასიის ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრი.

2003-2004 წლებში მუშაობდა არასამთავრობო ორგანიზაცია თავისუფლების ინსტიტუტში პროექტის - კანონის უზენაესობის - დირექტორად.

2004-2009 წლებში იყო საქართველოს სახალხო დამცველი.

2009 წელს აირჩიეს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მრჩეველთა საბჭოს წევრად.

2012 წლის პირველ ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად.

2012 წლის 25 ოქტომბერს დაინიშნა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრად, ხოლო 2014 წლის 26 იანვარს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრად.

2014 წლის 21 ივლისს დაინიშნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრად.

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ცნობა

მიხეილ ჯანელიძე დაიბადა 1981 წლის 29 მარტს.

2002 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მიენიჭა საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტის ბაკალავრის ხარისხი.

2006 წელს დაამთავრა რუსეთის ფედერაციის დიპლომატიური აკადემია, საერთაშორისო სამართლის ასპირანტურა.

2011 წელს სწავლობდა კავკასიის ბიზნესის სკოლაში და მიენიჭა საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი აღმასრულებელთათვის.

2011 წელს დაამთავრა საფრანგეთის გრენობლის ბიზნესის უმაღლესი სკოლა და მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო მენეჯმენტის სპეციალობით.

2003 წლის ივლისიდან 2004 წლის თებერვლამდე მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის მთავარ სპეციალისტად.

2004-2006 წლებში იყო ქ. მოსკოვში (რუსეთის ფედერაცია) ინვესტორებთან ურთიერთობების ოფიცერი სს „პარკსიმში“.

2006-2007 წლებში მუშაობდა შპს „საერთაშორისო პროექტების დახმარების სერვისში“ ბიზნესის განვითარების მენეჯრად; 2007 წელს ასევე იყო სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ვისოლ ჯგუფის პროექტის მენეჯერი.

2007-2009 წლებში იყო შპს „ველლაჯიოს“ ვისოლ ჯგუფის მმართველი დირექტორი.

2009 წლის იანვრიდან 2009 წლის დეკემბრამდე - კს „ჯანელიძე და კომპანიას“ დამფუძნებელი, პარტნიორი.

2009-2011 წლებში იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი.

2011 წლის 16 დეკემბრიდან 2015 წლის 21 სექტემბრამდე იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, პარალელურად 2014 წლის 10 თებერვალს დაინიშნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის - საქსტატის საბჭოს წევრად საჯარო სამსახურში შესაბამის თანამდებობაზე ყოფნის ვადით.

2015 წლის 21 სექტემბერს დაინიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ, 2015 წლის 30 დეკემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად.

2011 წლის 18 ოქტომბერს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ფლობს რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებს.

ცნობა

გიორგი მღებრიშვილი დაიბადა 1970 წლის 9 მაისს, ქ. თბილისში.

1996 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი, იურისტის კვალიფიკაციით.

1998-2004 წლებში იყო შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელი.

2004-2007 წლებში იყო ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის გამომძიებელი.

2007 წლიდან 2013 წლამდე მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო-საგუშაგოს თბილისის აეროპორტის უფროსად; რუსთავის რეგიონალური ცენტრის საბაჟო ოპერაციების დამუშავების საპატრულო განყოფილების უფროსად; რუსთავის რეგიონალური ცენტრის უფროსის მოადგილედ; ფოთის რეგიონალური ცენტრის უფროსის მოადგილედ; იყო ეკონომიკური საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დასავლეთის პორტალის მთავარი სამმართველოს უფროსი; პრევენციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; საგადასახადო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; საბაჟო დეპარტამენტის უფროსი; სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

2013 წელს დაინიშნა შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს სამმართველოს უფროსად.

2013 წლის 13 დეკემბერს დაინიშნა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და წალკის მუნიციპალიტეტები და ქალაქი რუსთავი) სახელმწიფო რწმუნებულად - გუბერნატორად.

2014 წლის 22 ივლისიდან 2015 წლის 3 აგვისტომდე იყო საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი.

2015 წლის პირველ აგვისტოს დაინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად.

მინიჭებული აქვს პოლიციის მაიორის სპეციალური წოდება.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ფლობს რუსულ ენას.

ცნობა

ლევან დავითაშვილი დაიბადა 1978 წლის 10 დეკემბერს.

1999 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატი; 2001 წელს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის მართვის მაგისტრატურა; 2003 წელს - მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის მაგისტრატურა.

1997 წლიდან 1999 წლამდე მუშაობდა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში სადაზღვევო რეგულაციებისა და სტანდარტების დეპარტამენტის უფროსად;

1999 წლის სექტემბერში იყო შემოსავლების სამინისტროს სოციალური გადასახადების დეპარტამენტი უფროსი;

1999-2001 წლებში - მსოფლიო ბანკის საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მართვის დახმარების ცენტრის (CERMA) მთავარი ბიზნეს-კონსულტანტი;

2002 წლიდან 2007 წლამდე - შპს „წინანდლის ძველი მარნის“ გენერალური მენეჯერი.

2007 წლის თებერვლიდან 2009 წლის დეკემბრამდე - ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სოფლის მეურნეობის პროექტის მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

2009-2012 წლებში იყო შპს „შუხმან ვაინს ჯორჯიას“ გაყიდვებისა და მარკეტინგის დირექტორი.

2010-2011 წლებში - საქართველოს ღვინის მწარმოებელთა კავშირის გამგეობის წევრი, გამგეობის თავმჯდომარე;

2012 წლის დეკემბრიდან 2014 წლის ნოემბრამდე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე.

2014 წლის 5 ნოემბრიდან 2016 წლის 9 სექტემბრამდე იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, 2016 წლის 9 სექტემბერს დაინიშნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრად.

ფლობს ინგლისურ, იტალიურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ცნობა

დიმიტრი ქუმსიშვილი დაიბადა 1974 წლის 7 სექტემბერს ქ. თბილისში.

1992 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი; 1998 წელს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობით - აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი; 2007 წელს - ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის პროგრამა „სერმა მენეჯმენტის სკოლა“.

1995-1996 წლებში იყო სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ წამყვანი სპეციალისტი.

1996-1997 წლებში - შპს „აუდიტკონსალტინგის“ რევიზორი.

1997-1999 წლებში - სს „ქართუ ბანკის“ ხაზინის უფროსი, 1999 წლიდან 2011 წლამდე გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე.

2010 წლიდან შპს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

2000-2011 წლებში იყო თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

2011-2012 წლებში - ჰოლდინგ „პალიტრა მედიას“ ბიზნესგანვითარების დირექტორი.

2012 წლიდან - დაწყებითი ბიზნესის და ინოვაციების საინვესტიციო ფონდის დირექტორი, შპს „რეშენალ სოლუშენის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

2012 წლის 30 ოქტომბრიდან 2015 წლის 17 მარტამდე იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე.

2015 წლის 17 მარტიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე თბილისის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი).

2015 წლის 1 სექტემბერს დაინიშნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრად.

2015 წლის 30 დეკემბერს დაეკისრა ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება, 2016 წლის 13 ივნისს პირველი ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება.

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

ცნობა

დავით სერგეენკო დაიბადა 1963 წელს.

1987 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტი.

1991 წელს დაამთავრა მოსკოვის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი.

1999 წელს კვალიფიკაცია აიმაღლა ბერლინის გულის ინსტიტუტში.

2001 წელს დაამთავრა ჰარვარდის სამედიცინო სკოლა.

2003 წელს მიიღო ოფშერული მედიცინის კვალიფიკაცია გაერთიანებულ სამეფოში.

2005-2006 წლებში გაიარა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სასწავლო კურსი.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა სოხუმის ბავშვთა საავადმყოფოში, რუსთავის სამშობიარო სახლში, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში (საავიაციო პოლკის ექიმი), საქართველოს სპორტის დეპარტამენტში, ჯოენის სამედიცინო ცენტრ „მედიქლაბჯორჯიაში“.

2006 წლიდან 2012 წლამდე იყო საჩხერის სამედიცინო ცენტრის გენერალური დირექტორი.

2012 წლის 25 ოქტომბერს დაინიშნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრად.

ცნობა

კახა კახიშვილი დაიბადა 1973 წლის 22 მარტს, ქ. თბილისში.

1990-1996 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

2002 წელს დაამთავრა თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა.

2002 წელს ჩააბარა პროკურატურის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო გამოცდები.

2007 წელს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკატო გამოცდები, არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი.

1993-1996 წლებში იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის ისნის რაიონის შსს სამმართველოს საპატრულო-საგუშაგო სამსახურის პოლიციელი.

1996-1998 წლებში - ქ. თბილისის კრწანისის რაიონის პროკურატურის სტაჟიორ-გამომძიებელი.

1998-1999 წლებში - ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის უფროსი გამომძიებელი.

1998-1999 წლებში - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ლექტორი.

1999-2000 წლებში - საქართველოს გენერალური პროკურატურის სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი სამმართველოს პროკურორი.

2000-2001 წლებში - საქართველოს გენერალური პროკურატურის სახელმწიფო უშიშროების, საბაჟო-საგადასახადო სამსახურებში

მოკვლევაზე და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორი.

2001 წლის ოქტომბრამდე იყო საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების პროკურორი და საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმომადგენელი ევროპის საბჭოში.

2001-2002 წლებში - საქართველოს გენერალური პროკურატურის კონტროლის სამმართველოს განყოფილების უფროსი.

2002-2003 წლებში - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ადამიანის უფლებების დაცვის დარგში.

2003 წლის ივნისიდან ოქტომბრამდე იყო საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული სამართალდამცავ ორგანოებში.

2003-2004 წლებში - საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული განყოფილების უფროსი.

2004-2005 წლებში - საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში.

2005-2006 წლებში - შპს „კონსულტანტის“ დამფუძნებელი და დირექტორი.

2008 წელს - კასპის, ხაშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის მოადგილე.

2008 წლის თებერვლიდან სექტემბრამდე - საქართველოს იუსიტიციის სამინისტროს მრჩეველი.

2008 წლიდან 2014 წლის ოქტომბრამდე იყო საარჩევნო და პოლიტიკური კვლევის ცენტრის დირექტორი.

2010 წლიდან 2014 წლის ოქტომბრამდე - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატი.

2011 წლიდან - არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი დამცველის“ სამართლებრივი დირექტორი.

2012 წელს იყო საარჩევნო სიის დაზუსტების სახელმწიფო კომისიის წევრი, არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან.

2012 წლიდან დღემდე საქართველოს ანტიკორუფციული საბჭოს წევრი.

2012 წლიდან 2014 წლის ოქტომბრამდე - ევროპულ ფასეულობათა ინსტიტუტის თანადამფუძნებელი.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრი, ექსპერტთა კლუბის წევრი.

2014 წლის 7 ოქტომბრიდან 2015 წლის პირველ აგვისტომდე იყო საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველი მოადგილე.

2015 წლის პირველ აგვისტოს დაინიშნა საქართველოს სასჯელაღ-სრულებისა და პრობაციის მინისტრად.

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

ცნობა

ზურაბ ალავიძე დაიბადა 1976 წლის 11 თებერვალს.

1998 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით, 2010 წელს გრენობლის ბიზნესის სკოლა, მინიჭებული აქვს ბიზნესის მაგისტრის ხარისხი და ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

1996-1997 წლებში იყო სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ საერთაშორისო ურთიერთობის და დილინგის განყოფილების მთავარი სპეციალისტი, 1997 წლიდან 1998 წლამდე ამავე ბანკის დილინგის განყოფილების უფროსი;

1998 წლიდან 2005 წლამდე სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სახაზინო დეპარტამენტის დირექტორი;

1999 - 2006 წლებში ქართული საფონდო კომპანიის გენერალური დირექტორი;

2000 წლიდან 2003 წლამდე ACI საქართველოს ფინანსური ბაზრების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, ACI მსოფლიო ფინანსური ბაზრების ასოციაციის წევრი;

2005 წლიდან 2006 წლამდე მუშაობდა სს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილედ;

2006 – 2008 წლებში „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის მოადგილედ;

2009 წლიდან 2010 წლამდე იყო საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე;

2011 წლიდან 2016 წლამდე სს „დარიალი ენერჯის“ გენერალური დირექტორი;

2016 წლის 6 ივლისს დაინიშნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრატეგიული პროექტების კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსად.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ცნობა

ტარიელ ხეჩიკაშვილი დაიბადა 1970 წლის 13 თებერვალს.

2002 წელს დაამთავრა სამოქალაქო ინსტიტუტი „კაბადონი“ სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

1995-1999 წლებში იყო შპს „ტაროს“ დამფუძნებელი პარტნიორი და დირექტორი.

1999-2001 წლებში იყო შპს „იბერმობილის“ დამფუძნებელი პარტნიორი და დირექტორი.

2001 წლიდან 2015 წლამდე იყო ბიზნესგაერთიანება იბერია ბიზნეს ჯგუფის (ბიზნეს გაერთიანება იბერია ბიზნეს ჯგუფი არის ოფიციალური დისტრიბუტორი ისეთი ცნობილი ბრენდების, როგორებიცაა: KIA, VOLKSWAGEN, MITSUBISHI, SKODA, AUDI, RENAULT, PEUGEOT) დამფუძნებელი პარტნიორი და პრეზიდენტი.

ბიზნესგაერთიანება ფლობს საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს“ და ავტობაზრობას ქ. რუსთავის მიმდებარედ.

2015 წლის პირველ მაისს დაინიშნა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრად.

ფლობს რუსულ ენას.

ჰყავს მეუღლე და შვიდი შვილი.

ცნობა

ვიქტორ დოლიძე დაიბადა 1973 წლის 4 ივლისს.

1995 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების ფაკულტეტი; 1997 წელს - ნატოს თავდაცვის კოლეჯი (რომი, იტალია); 1998 წელს - შვედეთის ეროვნული თავდაცვის კოლეჯი; 1999 წელს - თავდაცვის რესურსების მართვის ინსტიტუტი (მონტერეი, კალიფორნია, აშშ); 2004 წელს - ჯორჯ მარშალის ევროპის უსაფრთხოების სწავლების ცენტრი (გარმიში, გერმანია).

1996 წლიდან 1997 წლამდე მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე;

1997 წლიდან 1998 წლამდე - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის ნატოს სამმართველოს უფროსის მოადგილე;

1998 წლიდან 2000 წლამდე იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის ორმხრივი ურთიერთობების სამმართველოს უფროსი;

2000 წლიდან 2001 წლამდე - ბელგიისა და ნიდერლანდების სამეფოებსა და ლუქსემბურგის საჰერცოგოში საქართველოს საელჩოს მრჩეველი, საქართველოს მისიის წევრი ევროსაბჭოსა და ნატოში;

2001 წლიდან 2004 წლამდე - ნატოში საქართველოს მისიის მრჩეველი პოლიტიკურ საკითხებში (ბრიუსელი, ბელგიის სამეფო);

2004 - 2005 წლებში იყო საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს საერთაშორისო უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორი;

2005 წლიდან 2009 წლამდე მუშაობდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ავსტრიისა და უნგრეთის რესპუბლიკებში, საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად ეუთოსა და ვენაში (ავსტრია) განლაგებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში;

თავისი პროფესიული მოღვაწეობის პერიოდში აქტიურად იყო ჩართული ეუთოს უსაფრთხოების კომიტეტის საქმიანობაში, 2007 წელს ამ ორგანიზაციაში ხელმძღვანელობდა მიმართულებას პოლიციის საკითხებში. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს ეუთოში აქტიურად იცავდა საქართველოს ინტერესებს, რომლის დროსაც განხორციელდა კონფლიქტის ზონაში სამხედრო დამკვირვებელთა რაოდენობის გაზრდა.

ნატოში მოღვაწეობის პერიოდში იყო ნატოს პოლიტიკური კომიტეტის, სამხედრო-პოლიტიკური კომიტეტის, სამეცნიერო კომიტეტის, სამოქალაქო თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტისა და ეკონომიკური დირექტორანტის წევრი.

არის „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და 2009-2016 წლებში იყო გამგეობის წევრი.

2010 წელს არჩეულ იქნა თბილისის მეოთხე მოწვევის საკრებულოს წევრად.

2012 - 2014 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე.

ფლობს ინგლისურ, რუსულ და ფრანგულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ცნობა

ქეთევან ციხელაშვილი დაიბადა 1978 წლის 21 აგვისტოს;

1999 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი; 2000 წელს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის (უნგრეთი) საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპული კვლევების მაგისტრატურა; არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი;

1996-1998 წლებში იყო გაეროს ახალგაზრდული ორგანიზაციის საქართველოს განყოფილების (UNOY) პროექტების ასისტენტი;

1998 წელს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ორგანიზაციის დირექტორის თანაშემწე;

1998-1999 წლებში მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრში მთავარ სპეციალისტად;

2002-2004 წლებში კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევით ცენტრში (ICCN) პროგრამის მენეჯერად და უფროს ანალიტიკოსად;

2000-2001 წლებში იყო ელექტრონულ ჟურნალ Transition Online-ში რედაქტორის თანაშემწე;

2001 წელს მიწვეული იყო მკვლევარ-თანაშემწედ უმცირესობის საკითხთა ევროპულ ცენტრში (ECMI)-გერმანია; 2002 წელს ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკისა და თავდაცვის სამმართველოს მკვლევარ-თანაშემწედ (ბრიუსელი);

2001-2002 წლებში იყო ჰამბურგის უნივერსიტეტის (გერმანია) ეუთოს კვლევის ცენტრის (CORE) მკვლევარი;

2004-2006 წლებში მუშაობდა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში სახელმწიფო მინისტრის თანაშემწედ და საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროს სპეციალისტად;

2007-2009 წლებში იყო ევროპის სტაბილურობის ინიციატივის (ESI) ანალიტიკოსი საქართველოში;

2002-2010 წლებში ფრიდრიხ ნაუმანის სახელობის ფონდის კონსულტანტი საქართველოში;

2008 წლიდან დღემდე ილიას უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს ევროპათმცოდნეობაში;

2012 წლის იანვრიდან 2012 წლის ოქტომბრამდე იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე;

2006-2012 წლებში ლიბერალური აკადემია თბილისის (LAT) დირექტორი;

2012-2016 წლებში იყო სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში;

2016 წლის 1 აგვისტოს დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მინისტრად შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში;

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს;

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.